

პატარა კახი

„ეს ჩვენი მეფე ერეკლე
ერთი პატარა კახია;
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია.“

ეს ხალხური ლექსი თაობიდან თაობას უკვე არაერთი საუკუნეა გადაეცემა და სიტბო, რომელიც ქართველმა ხალხმა ამ სტრიქონებში ჩააქსოვა, დღემდე ღრმა მოწიწებით აღგვავსებს ჩვენი დიდებული პატარა კახის მიმართ. მეფე ერეკლე – რამდენ საამაყო მოვლენას, მომავლის ახლებურ რწმენასა და, ამავდროულად, დიდ, მოუშუმებელ ტკივილებს უკავშირდება ეს სახელი. მეფე, რომელმაც მრავალი საუკუნის შავბედობის მიუხედავად კვლავ ჯიუტად დაგვაჯერა, რომ ქართველებსა და საქართველოს განადგურება არ უწერია, რომ ჩვენ ყოველთვის შევძლებთ ვიყოთ ამაყნი და შეუდრეკელნი, მაშინაც კი, თუ დაფანტულნი და შებოჭილნი ვიქნებით. მსურს, მისი დიადებით უსაზღვროდ ამაყმა და თავმომწონემ, სრულიად საქართველოს მივულოცო ჩვენი პატარა კახის დაბადებიდან 300 წლის იუბილე, რადგან ეს თარიღი მხოლოდ მისი დაბადების დღე როდია?! ისტორიული ჟამთა ცვლა ამ დღეს საქართველოს ახლებურ მომავლს, ნათელი რწმენის საწყისად აქცევს.

„ღერკულესი, უძლეველი მეფე“ - ასე უწოდებდა ერეკლეს მისი ერთგული თანამებრძოლი სოლომონ ლიონიძე; მისი სამხედრო წარმატებებით აღფრთოვანებულ ფრიდრიხ II-ეს ერთხელ უთქვამს: „დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში ერეკლეო“ და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამით გაუთქვამს სახელი მეფეს, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ომებსა და მტრების მოგერიებაში გაატარა, რომელსაც მთავარმა მოკავშირემ სიცოცხლეშივე უღალატა და თავად ქართველებმაც არაერთხელ აქციეს ზურგი. რამდენი რამ გვსმენია მის შესახებ და რამდენჯერ გვიამაყია მისით? მაგრამ ერთხელ მაინც თუ დავფიქრებულვართ, ვინ იდგა ამ ძლიერი პიროვნების უკან, როგორი ადამიანი იყო ქართველთა საამაყო პატარა კახი ერეკლე?! როგორი იყო მისი ცხოვრება სამეფო მანტიის, სამეფო ტახტისა და ტიტულატურის მიღმა?!

ბუნებრივია, რთულია დაზუსტებით ვისაუბროთ მის ყოველდღიურ, სხვებისთვის უცნობ ცხოვრების წესზე, მაგრამ თუ ოდნავ მაინც მოვიხმობთ ფანტაზიას და შევეცდებით საკუთარი თავი XVIII საუკუნეში, ერეკლე II-ის კარზე წარმოვიდგინოთ, ჩვენამდე მოღწეული არაერთი ცნობა დაგვეხმარება წარსული მოვლენების აღდგენაში. როდესაც ადამიანი დუმს, მასზე ნივთები მოგვითხრობენ.

სასახლეში, სადაც ოდესღაც ვრცელ და მდიდრულად მორთულ დარბაზს აქეთ-იქიდან აზიური გემოვნებით აშენებული მოსასვენებელი ოთახებითა და გალერეებით სავსე დიდი დერეფანი მიუყვებოდა, მეფე ერეკლემ თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა. ვინ იცის, რამდენჯერ უიმედობით აფორიაქებულს დაუტოვებია დარბაზი და საკუთარი მოსასვენებელი ოთახის სარკმელთან ჩუმად მდგარს თვალი გაქცევია სამშობლოს უღამაზეს მთა-ველზე. სიგლის ფურცლებით სავსე სამუშაო მაგიდა, სკამები, იქვე მდგარი საწოლი (სპარსული ორნამენტებით), რამდენიმე ჩირაღდანი სანთლის ნამწვებით, ლამაზი ფარდაგებით დაბურული სარკმლები და ოთახის კუთხეში

მიდგმული იახტანი - ეს იყო ერეკლე ბაგრატიონის პატარა სამყარო, სადაც იგი, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, არა მეფე, არამედ ერთი ჩვეულებრივი ადამიანი - მამა, მეუღლე, შვილი ან კიდევ ძმა გახლდათ.

ყველა ჩვენგანის მსგავსად, მეფე ერეკლესაც გააჩნდა მისთვის ძვირფასი ნივთები. ის, კუთხეში განცალკევებით მდგარი, ხელით ნაქარგ-ნაკვეთი მოზრდილი სკივრი, სწორედ, მეფე ერეკლეს საყვარელ ნივთთა საცავია. სკივრის დათვალიერებისას შევამჩნევთ ფინჯანთა სიმრავლეს: სამი თითბრის ზართებით მორთული ყავის ფინჯანი, ერთი დიდი-მწვანე ფერის, ლამბაქითა და თავსაფარებლით, კიდევ ორი შედარებით დიდრონი; გარდა ამისა, თვრამეტი სხვადასხვა მოყვანილობის ჩაის ფინჯანი, ვერცხლის პატარა ჩაის საწურავთან ერთად; ორიც ფაიფურის სტაქანი და საშაქრები. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ერეკლე II-ს ძლიერ უყვარდა ყავა ლიქიორთან ერთად და მისი ყოველი შრომატევადი დღეც, სწორედ, ასე იწყებოდა. უმეტესობა ფინჯნებისა ანასტასია და თეკლე ბატონიშვილებმა მიართვეს მამას და ისიც დიდად უფრთხილდებოდა შვილების ძღვენს. საინტერესოა, რომ თეთრი საშაქრე ნაპირგატეხილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვლავ განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ერეკლეს იახტანში. მეფეა და არავის გაუკვირდებოდა, რომ გადაეგდო და ახლით ჩაენაცვლებინა, მაგრამ ერეკლეს დიდი სიყვარული ჰქონდა იმ ყველაფრის მიმართ, რაც მისივე მოგონებებს უკავშირდებოდა. ან კიდევ, ვინ იცის, ნაპირგატეხილ საშაქრეზე დაკვირვებისას რამდენჯერ წარმოუდგებოდა თვალწინ ჩვენი სანუკვარი საქართველო, რომელიც იმხნად ისეთივე „გატეხილი“ იყო, მაგრამ კვლავაც ფასდაუდებელი.

ნათელია, რომ პატარა კახი მეფური ცხოვრებისგან განცხრომას არ მისცემია. საჭმელს უბრალო დანა-ჩანგლით მიირთმევდა, დაატარებდა ერთ ჩვეულებრივ ხის ჯვარს და საგულდაგულოდ ინახავდა ნახმარი აბრეშუმის ორ წყვილ წინდას. მას წესრიგი და სისუფთავეც უყვარდა. კარგად თუ მოვებნით, სკივრში ცამეტ მარანდულ (სპარსულ) საპონსაც აღმოვაჩინეთ. რამდენიმე ლაქის ნამტვრევიც მოიძებნება, რასაც მეფე ტყავის ფეხსაცმელებისა და სამოსის გასაპრიალებლად იყენებდა. მთელი დღე სახელმწიფო საქმეებით გართული საღამოს კვლავ უბრუნდებოდა საკუთარ მყუდრო ბინას, აივანზე მიირთმევდა ცხელ შაქრიან ჩაის და ათასგვარი საზრუნავით გართულს მამულზე, ოჯახსა თუ საკუთარ პიროვნებაზე, მოვლენათა საზოგადო განვითარებაზე ეფიქრებოდა.

ვინ იცის, რამდენჯერ სასოწარკვეთას მისცემია დარდით, რამდენჯერ მდგარა დილემის წინაშე? რამდენი სადარდებელი აწუხებდა მის გულს და ვერავის ვერ უმხელდა. ვინ იცის, რამდენ რამეზე უთქვამს უარი, რამდენი ოცნება დარჩა აუხდენელი, რამდენი რამ ვერ აპატია საკუთარ თავს საქართველოს სვე-ბედის გადაწყვეტისას. ამ ყველაფერს ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენთვის უცნობია მისი ფარული ვნებათაღელვა. ჩვენს თვალში ერეკლე სამუდამოდ ძლიერ, მხნე და ამაყ ქართველ პატრიოტად, დიდებულ პატარა კახად დარჩება და იშვიათად თუ დავუფიქრდებით იმას, თუ რა გზას გადიოდა იგი, როგორი იყო მისი ყოველდღიურობა საქართველოზე ზრუნვის მიღმა.